საქართველოს შრომა[illegible] ოცდ. სარევ. ჰარტია.

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩვეულებრივ ნომერში
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 569 სამშაბათი, სექტემბრის 11 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი

ა. წ. სექტემბრის 16-იდან სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ანახლებს ყოველ-კვირეულ სალიტერატურო გაზეთის გამოცემას; ნაცვლად „ლომბისი“-სა გამოვა კვირას 16 სექტემ.

ხ ო მ ლ ი

მონაწილეობას მიიღებენ ყველა ცნობილი ქართველი მწერლები.
მისამართი: ხელოვანთა სახლე (სერგის ქუჩა № 13) ტელეფონი № 17—51.
3—1 კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.

გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 1-დან ელ[illegible]ება:

პროფკავშირთა წევრებისათვის	
თვიურად	3.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	4 000.000 „
ცალკე ნომერი	150.000 „

გამოსავლის ძიებაში

საერთაშორისო ვითარება კვლავ აწეწილია. სახელმწიფოთა ურთიერთობა მოუწესრიგებელია, სარეპარაციო საკითხი გადაუწყვეტელია, ომი დაუსრულებელია, ეკონომიური ცხოვრება აუღორძინებელია.

საერთო კონცერტში მრავალ მოელენათა კოლიზია იქმნება. სოციალ-ეკონომიურ ტეხილებს, მნიშვნელოვანი გეოლოგიური ტეხილებიც ერთვის. იაპონიის კატასტროფა ამავე დროს პოლიტიკური გავლენის შემცირებაა, გაძლიერებაა ამერიკის გავლენის სფეროების. ამერიკის შეგემონობის ზრდასათვის აზიაში მომხდარი უდიდეს მიწის ძვრას ეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ევროპის სახელმწიფოთა სამეურნეო ცხოვრება რენესანსის გზით ვერ მიდის. ვერსალის ზავის მიერ გამოწვეული კონფლიქტები თვით მოკავშირეთა სახელმწიფოსათვის გამოუვალ პირობებს ქმნის. გერმანეთის ირგვლივ შექმნილი პირობები რურის ოკუპაცია და სხ ქმნის შესაძლებლობას გერმანეთის რევოლიუციისას. მოკავშირეთა პოლიტიკა ობიექტიურად მის საწინააღმდეგო ოპოზიციას, ე. ი. რევოლიუციას იწვევს. იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი კიდევ ერთხელ ცხად ჰყოფს ომის საშიშროებას, უკეთ ომის დაუსრულებლობას. ევროპა კვლავ ომის მდგომარეობას განიცდის ევროპას ზავი არა აქვს.

მე-2 ინტერნაციონალის რიგებს მეტად არყევს გამწვავებული მდგომარეობა. შრომისა და კაპიტალის დაპირისპირების პროცესში ცუდ ადგილს არის მოთავსებული იმ ხალხთა სავარძელი, რომელიც ორივეს, (შრომასა და კაპიტალს) იცავს, ან უკეთ ერთზედ ლაპარაკობს, მეორეს იცავს. ის იწვევს გერმანეთის მუშათა კლასის გამოფხიზლებას, რომელიც დღეს მწვავედ განიცდის შექმნილი მდგომარეობის სიმძიმეს.

ფაშისტური იტალეთის ავანტიურებიც ფაშისტურ წრეების დაშლის საწინდარია. ფაშისტური ორგანიზაციების შერეული ხასიათი ქმნის შესაძლეობას წინააღმდეგობათა აღმოცენებასათვის. მუშათა წრეებში ფაშისტები გავლანას ჰკარგავენ.

„ერთა ლიგის“ ავტორიტეტი გაკოტრების პროცესშია. სხდომა იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვისა უშედეგოდ სრულდება. ლიგიდან გამოდიან და გამოსვლით იმუქრებიან მთელი რიგი სახელმწიფოთა.

ამ ქაოსში და ანარქიაში ერთი ტენდენცია გარკვეულად სჩანს. ეს ტენდენცია მუშათა მოძრაობის განვითარებაა. ევროპა გამოსავალს ვერ იპოვის გარეშე მუშათა მოძრაობის გამარჯვებისა. თუ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ დღემდე „ძველსამე წოდება“, ბატონობდა, დღეს მისი საფუძველი შერყეულია. ისტორიულ არენაზედ გამოდის „ახალი წოდება“—პროლეტარიატი და გლეხობა. ახალი ცხოვრების შემოქმედება ახალ თაობას საჭიროებს. დასავლეთის კაპიტალისტური ცივილიზაცია იღუპება, იშლება, ნგრევა. მშრომელთა ძალაუფლებას და სოციალისტურ აღმშენებლობას ძალუძს გამოსავლის პოვნა. გადაუჭრელი საკითხები, სისხლის ტბები, ეკონომიური ქაოსი და საერთო დისჰარმონია, ახალ ძალას ელის, ახალ სიტყვას უცდის.

გერმანეთის რევოლიუციის პროლოგი ფაქტის საკითხია. გერმანეთის რევოლიუცია ევროპის რევოლიუციის გასაღებია.

დიდი საქმე*)

დღეს ერთი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც საბირკველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლების ერთ უდიდეს საქმეთაგანს—ტფილისის ელექტროფიკაციას, ტფილისის ელექტროფიკაციაზე ლაპარაკობდა ყველა დაწყებული ნიკოლოზის დროიდან და გათავებული მენშევიკებით. დიაღ, ამ დიდ საქმის გარშემო სწარმოებდა მსჯელობა გამოკვლევა, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი გავიდოდა ისე, რომ ტფილისი ვერ ეღირსებოდა მის რეალურად განხორციელებას.

ტფილისის ფაქტიური მდგომარეობა სინათლის მხრით კი მოითხოვდა რაიმე წყაროს გამონახვას სინათლის მისაღებად, ვინაიდან არსებული ათეული წლობით შეუკეთებელი ელსადგურები სრულ განადგურებამდის იყო მისული,—საკმარისი იყო ხუთიოდე წელიწადი, რომ ტფილისი მოქცეულიყო სრულ წყვდიადში.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც საქართველოში თან და თან მტკიცდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და სწორეთ მის წინააღმდეგ უდიდეს პროვოკაციის დროს, როდესაც ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა საქართველოს მეურნეობის დანგრევის შესახებ უპასუხისმგებლო პირების და ჯგუფებისაგან, ის კიდებს ისეთ საქმეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი მეურნეობის აყვავებისათვის.

ტფილისის აღმასკომი ცარიელი სალაროთი იწყებს ჰიდრო ელსადგურის აგებას, რომელიც ჯდება არა ნაკლები ოთხი-ხუთი მილიონისა (ოქროთი), სჯერა, რომ საბჭოთა საქართველოს და კერძოთ ტფილისის მშრომელთა თანაგრძნობით და ენერგიის მაქსიმალურად დაჭიმვით იგი მიზანს მიაღწევს.

ჰიდრო ელსადგურის აგება სწარმოებს იმ ადგილას საიდანაც 1500 წლის წინეთ საქართველოს მოეფინა ქრისტიანობა, დღეს 1500 წლის შემდეგ, იმავე მცხეთის მიდამოებიდან საქართველოს მოეფინება ელექტრონის სინათლე, რომელიც აყვავებას პირდება მის დედა-ქალაქს.

სჯეროდეს საბჭოთა ხელისუფლებას და კერძოთ ტფილისის აღმასკომს, რომ ქართველი მშრომელის თანაგრძნობა მისკენაა და ის ყოველ ღონეს ახმარს დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად.

ეს მისი თანაგრძნობა გამოჩნდა წასულში და კიდევ უფრო გამოჩნდება მომავალში სამუშაოს დარჩენილი ნაწილის—70 პროცენტის შესრულების და ამისათვის ყოველ-გვარი ზომების მიღების დროს, როგორიცაა სადგურის საჭიროებისათვის სალობლიგაციო სესხის გამოშვება და სხვა. მშრომელთა დაკორძებული ხელებით დაწყებული საქმე მათივე დახმარებით დამთავრდება და გვექნება მცხეთის ჰიდრო ელსადგური*).

მ. ხ—ძე.

*) ეს სადგური ცნობილია ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სახელწოდებით, რაც შეცდომაა, ვინაიდან მას არავითარი კავშირი არ აქვს ზემო-ავჭალასთან. მისი საგუბარი იქნება პირდაპირ მცხეთაში და მთავარი არხი თავდება დილომის ხიდთან, რომლის ახლოს დადგმული იქნება სადგური და რომელიც უფრო ახლოს არის მცხეთასთან ვიდრე ზემო-ავჭალასთან. ყველა ამის მიხედვით საჭიროა შეიცვალოს სადგურის სახელი და ეწოდოს მას მცხეთის და არა ზემო-ავჭალის „მჭესი“ და არა „ზაჭესი“.

მ. ხ—ძე.

*) ეს წერილი უადგილობის გამო კვირის ნომერში ვერ მოთავსდა.

ჯ. ჭ.

დ ღ ი უ რ ი

— ს. ს. რ. კ. აღმასკომის მესამე სესსია მოწვეულ იქმნება 7 ნოემბერს, ტფილისში.

— ინგლისს შეერთებულ შტატებისა მართებს სულ 4,6 მილიარდი დოლლარი.

— იაპონიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში მღელვარება გრძელდება.

— ზოგიერთ ადგილებში ხდება პოლიციასთან შეტაკებანი.

— ხდება კორეელების მასიური დაპატიმრება.

— იტალიამ დაიჭირა კუნძულები პაკსოსი და ანტიპაკსოსი.

— საბერძნეთში ანტი-იტალიური დემონსტრაციები გრძელდება.

— მცირე ანტანტის სახელმწიფოებს შორის არ არის სოლიდარობა კონფლიქტის საკითხში.

— რუმინეთი აცხადებს, რომ იგი არაა დაინტერესებული კონფლიქტით.

— ელჩთა კონფერენციის დადგენილება.

— საბერძნეთი ალბანეთს სთხოვს გასცეს მკვლელები 5 დღის ვადაში.

— იტალიელებმა დაათავეს მთელი არქიპელაგის ოკუპაცია.

— საბერძნეთი სთანხმდება ელჩთა კონფერენციის დადგენილებას

ხალხთა-ცხოვრებიდან

ზაპროსტას ცნობებიდან 10 სექტემბრიდან

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

პარიზიდან მიღებულ ცნობით იტალიის მთავრობამ საბერძნეთს მოსთხოვა კორფუს ოკუპაციაზე გაწეულ ხარჯების ანაზღაურება 1 მილიონი ლირა ყოველ-დღიურად.

იტალიელებმა დაიჭირეს კუნძულები პიკსოსი და ანტიპაკსოსი.

ათინის სავაჭრო პალატამ დაადგინა შესწყვიტოს სავაჭრო ურთიერთობა იტალიასთან და საერთაშორისო [illegible] ელჩებთან.

„ერთა ლიგის“ საბჭომ თავის პასუხში ელჩთა კონფერენციის შეკითხვაზედ სცნო მთავრობათა პასუხისმგებლობა მათ ტერიტორიაზედ მომხდარ პოლიტიკურ მკვლელობაში და აღნიშნა, რომ სასურველია იტალიის ოფიცრების მკვლელობის დაწვრილებით გამოკვლევა. იტალიის დელეგატი თანახმაა მთავრობათა პასუხისმგებლობაზედ, ხოლო არ სცნობს „ერთა ლიგის“ უფლებას ჩაერიოს კვლევაძიებაში. სესილი, ბრანტინგი და ჰუისმანსი იცავდნენ ლიგის კომპეტენციას, მაგრამ მაინც შეიტანეს წინადადება საკითხი გადადებულიყო შემდეგ სხდომისათვის. საკითხის გადადება მოასწავებს იტალიის გამარჯვებას, რომელსაც მხარს უჭერს საფრანგეთი.

ლონდონიდან მოსულ ცნობით, ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ, რომ „ერთა ლიგის“ საბჭომ მიმართოს ელჩთა კონფერენციის წინადადებით, რათა მან მკვლელობის გამოსაძიებლად საბერძნეთში შექმნას კომისია შემდგარი ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებისაგან, ამ შეთანხმებით კორფუს ოკუპაციისა და ევაკუაციის საკითხი გადაეცემა ლიგის საბჭოს.

მცირე ანტანტა ხელმეორედ აცხადებს, რომ იგი გამოვა „ერთა ლიგიდან“, თუ იგი ვერ გამოიჩენს უნარს ქონფლიქტის გადაწყვეტაში. თუ იტალია განაგრძობს ოკუპაციის გაფართოებას, მაშინ აცირე ანტანტა მიმართავს სამხედრო მზადებას.

ზაგრები. (ხორვატია). გაზეთის ცნობით, სამხრეთ სლავია დაიკავს ნეიტრალიტეტს, ხოლო იმ პირობით, რომ „ბალკანეთი დარჩეს ბალკანეთის ხალხისათვის“. ეს პირობა გამოწვეული მით, რომ ეშინიათ იტალიის პოლიტიკის გაფართოებისა ბალკანეთზედ ტ ხმელთა შუა ზღვაზედ. თუ ომი დაიწყო სამხრეთ სლავია დაეხმარება საბერძნეთს, თუმცა მისი მიზანია საბერძნეთის გაჭირვება გამოიყენოს სალონიკის ნავთსადგურის საკითხის გადასაწყვეტად.

საბერძნეთში გრძელდება ანტი-იტალიური დემონსტრაციები, სალონიკში უარი სთქვეს იტალიის საქონლის გადმოტვირთვაზე. ხშირად იმართება მთავრობისა და უმაღლეს სარდლობის შორის თათბირი.

რუმინეთის გაზეთების ცნობით ბუქარესტში ჩასული საბერძნეთის პრინცი პავლე კონფლიქტის შესახებ ნოსალაპარაკებლად.

ინგლისმა, შვეიცამ და ბელგიამ გადაწყვეტილად სცნეს „ერთა ლიგის“ კომპეტენცია იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში. შვეიცის წარმომადგენელმა ბრანტინგმა ხაზი გაუსვა იტალიის მიერ კორფუს განთავისუფლების საჭიროებას.

პაშიჩმა განუცხადა პუანკარეს, რომ იტალიის ჯარის გადასხმა ალბანეთში სამხრეთ-სლავიისათვის საბაბი იქნება ომის დასაწყებად. ჰეკნეკაში სამხრეთ-სლავიის დელეგატი არწმუნებდა მცირე ანტანტის წარმომადგენლებს მხარი დაეჭირათ საბერძნეთის მოთხოვნილებისათვის „ერთა ლიგის“ კონფლიქტში ჩარევის შესახებ. მიუხედავად ამისა მცირე ანტანტის სახელმწიფოთა შორის არ არის სოლიდარობა თუ როგორ მოიქცნენ კონფლიქტის საკითხში. პარიზში უარყოფენ იმ გადაწყვეტილებას, ვითომც მცირე ანტანტა გამოვა ლიგიდან, თუ უკანასკნელმა უარი სთქვა კონფლიქტში ჩარევაზედ.

ჩეხიის ოფიციალური გაზეთები მოითხოვენ კონფლიქტის ლიგის მიერ გადაწყვეტას იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იტალია გამოიყალ ლიგიდან, რადგანაც გაზეთების აზრით „ერთა ლიგა“ კონფლიქტში ჩარევაზედ უარის თქმით ხელს მოაწერს თავის სასიკვდილო განაჩენს. აგრარიების გაზეთები ფიქრობენ, რომ საფრანგეთის პოზიციის გამოურკვევლობის გამო, ლიგა ვერ შესძლებს კონფლიქტის მოგვარებას.

რუმინეთის მთავრობა ხაზს უსვამს, რომ იგი არაა დაინტერესებული იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში. პრესა აღნიშნავს, რომ რუმინეთს სურს მხოლოდ კონფლიქტის მალე გადაწყვეტა, რათა სამხედრო ოპერაციებმა ხმელთა შუა ზღვაზედ ხელი არ შეუშალონ მას დასავლეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. გაზეთ „ადევირულ“-ის ცნობით ბრატიანომ განაცხადა, რომ ინგლისის გაზეთების შიში ევროპის ომის შესაძლებლობის შესახებ გადაჭარბებულია.

საფრანგეთა მემარჯვენე პრესა და ის მთავრობის თვალსაზრისის გამომხატველი წრეები, სცდილობენ სახელი გაუტეხონ ერთა ლიგას; იგონებენ ლიგის მოქმედებას საბერძნეთის დაცემის დროს ოსმალეთზედ და აღნიშნავენ, რომ ლიგის უფლებათა სიფართოვე ხელს უშლის ამ უფლებების პრაქტიკულად გამოყენებას. მემარცხენე პრესა აგონებს მთავრობას იმ საშიშროებას, რომელიც ელის საფრანგეთის ინტერესებს ტუნეზიაში, ალჟერში და მაროკოში ფაშისტთა მისწრაფებებით ხმელთა შუა ზღვაზედ.

ხორვატიის გაზეთ „ობზორ“-ის ცნობით იტალია სამხრეთ-სლავიის პარიტეტულმა კომისიამ ფიუმეს საკითხში შესწყვიტა მოქმედება, რადგანაც იტალიამ უარჰყო სამხრეთ სლავიის წინადადება ნავთსადგურ ბარომისა და ფიუმეს ნაწილის მისთვის გადაცემის შესახებ.

ელჩთა კონფერენციის დადგენილების თანახმად, საბერძნეთმა უნდა ბოდიში მოიხადოს სამი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლების წინაშე ათინაში, იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე, რომელნიც შედიოდენ სადემარკაციო კომისიაში, ათინის კათოლიკურ სობოროში საბერძნეთის მთავრობის წევრთა თანადასწრებით უნდა გადახდილ იქმნეს პანაშვიდი მოკლულთა მოსახსენებლად; დასაფლავების დღეს საბერძნეთის ფლოტი პატივს სცემს 3 საკავშირო სახელმწიფოს დროშებს; საბერძნეთის მთავრობამ უნდა მიიღოს ყოველივე ზომები დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ასანაზღაურებელი თანხა გამომუშავებული იქნება ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ და სხვა.

გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ საბერძნეთი ვერ მიიღებს ამ პირობებს.

ელჩთა კონფერენციის დადგენილების გამო იტალიის მოქმედება შეიცვალა. კორფუდან იტალიის ესკადრა უკან იქმნა დაბრუნებული.

იტალია თანხმობას აცხადებს ელჩთა კონფერენციის დადგენილებაზედ და მოახდენს კორფუს ევაკუაციას როცა საბერძნეთი შეასრულებს ამ მოთხოვნილებებს. იტალიის ღირსება დაკმაყოფილებულია და ფიქრობენ, რომ კონფლიქტი ამით გათავდება.

რომის გაზეთების ცნობით საბერძნეთის მთავრობამ ულტიმატუმით მოსთხოვა ალბანეთს მისიის წევრთა მკვლელების გაცემა 5 დღის ვადაში.

იტალიელებმა დაიჭირეს კიდევ ახალი კუნძულები, რითაც დაამთავრეს მთელი არქიპელაგის ოკუპაცია.

საბერძნეთი სთანხმდება ელჩთა კონფერენციის დადგენილებებს.

საკონტრიბუციო საკითხი

ბერლინი. გერმანეთის ფინანსების რეფორმის გამო, მოსალოდნელია პირველ საჭიროების საგნებისა და რურის კრედიტის შემცირება, ისე კი, რომ ხელი არ აიღონ პასიურ წინააღმდეგობაზედ.

პარიზი. გერმანიის ერთ-ერთი ცნობილი მწარმოებელი ამბობს, რომ პასიურ წინააღმდეგობას ეცლება ძალა, რადგანაც ჩვენ უნდა დაუთმოთ საფრანგეთსაო.

პარიზი. გერმანიის პროფკავშირებმა მთავრობას წარუდგინეს მემორანდუმი, რომელშიაც თხოულობენ რურის კონფლიქტის საბოლოოდ გადაწყვეტას.

ბერლინი. „ტაიმსის“ ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის წარმოებულ სეპარატიულ მოლაპარაკების შესახებ ხმები საფუძველს მოკლებულია, რადგანაც გერმანიის მთავრობას ასეთი განზრახვა არა აქვს.

რომი. ბელგიის პრესის ცნობით ბელგიის მთავრობა ფიქრობს რურის საკითხში აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა, ანტანტის წევრებთან კონტაქტის დაცვით.

პარიზი. დამზილში დაღუპულ მხედართა ძეგლის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ გერმანიასთან ეკონომიური შეთანხმება შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა საფრანგეთი დაინახავს, რომ გერმანიამ მტკიცედ გადასწყვიტა სადაო საკითხის მოგვარება და მისცემს საფრანგეთს მეტს გარანტიებს, ვიდრე დაპირებებს.

რომი. იტალიის მთავრობასა და გერმანიის მწარმოებელთა შორის მოხდა წინასწარი შეთანხმება იტალიისათვის მეტი ნახშირის მიცემის შესახებ, თუ საკავშირო ჯარი არ ჩაერია ნახშირის ამოღებაში.

მიწის ძვრა იაპონიაში

იაპონიის რადიოს ცნობით მიწის ძვრისაგან სასწრაფო დახმარებას მოელვარების ჩასაქრობად, ზოგიერთ ქალაქებში ხდება მცხოვრებთა და პოლიციის შეტაკებანი. იაპონიის გაზეთების ცნობით დიდი პანიკა გამოუწვევია იმ ცნობას, რომ კორეის რევოლიუციონერები აპირებდნენ არსენალის აფეთქებას.

იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობით კორეელების მასიურ დატუსაღების მაზანი იყო თვით კორეელებისათვის საფრთხის თავიდან აცილება. ცნობაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ რომ „კორეელებად“ სთვლიან აწ არსებულ წესწყობილების ყველა მტერს.

ძველი თამასუკები

I.

პასუხი ამხ ფ. მახარაძეს და ი. ბ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ლეიბორგანოში, გაზ. „კომუნისტში“, პირველ გვერდზე, ორსართულიანი ასოების სათაურით წერილია დასტამბული ვინმე „ი. ბ.“-სი—„ძველი ანგარიშები“.

„ძველი ანგარიშები“-ს ისტორია არც ისე მოკლებულია საზოგადოებრივ ინტერესს, რომ იგი უყურადღებოთ იქმნას დატოვებული. ეს საკითხი წამოიჭრა მენშევიკების ყრილობაზე, სადაც ზოგიერთმა მენშევიკმა საუცხოო ტაქტიკური ნაბიჯები გადადგეს: ჩვენ, მემარცხენე ფედერალისტებს, დაგვიწყეს ლანძღვა-გინება: ფედერალისტები ვინ არიან, რანი არიან, ესენი კონტრ-რევოლიუციონერები არიან, რაც ვართ ჩვენა ვართო!

თავისთავად ასეთი სულიერი განწყობილება მეტად კარგია. ნეტავი ისე განმტკიცდებოდეს ჩვენში სოციალისტური წეს-წყობილება, რომ ჩვენ, მემარცხენე-ფედერალისტები, ყველაზე ჩამორჩენილები და რეაქციონერები აღმოვჩენილიყავით.

სამშობლოსა იგი უნდა
შვილი სჯობდეს მამასაო—

გადავაკეთებთ ჩვენ პოეტის ნათქვამს. თუ ისე მოეწყო საქმე, რომ ეხლა უკვე დაგვჭირდა აქტივების გადმოლაგება და შეჯიბრებით მტკიცება—ამ წყობილებას არა მე უწინ ვიცავდი, არა მეო—აშკარაა, საბჭოთა ხელისუფლებას ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენს ცხოვრებაში და საფუძვლიანადაც შეურყევია ჩვენი საზოგადოებრივი სულისკვეთება.

კერჰოდ მე ვფიქრობდი, რომ მენშევიკების გამოლაშქრება და ისიც, რომ მენშევიკების ანკესზე ფილიპე მახარაძეც წამოეგო—უყურადღებოთ დაგვეტოვებია. პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა მოითხოვდა გაჩუმებას და ჩვენც გავჩუმდით.

— ილანძღებიან?—დეე ილანძღონ! „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“—ნათქვამია და ჩვენც ამ ანდაზას მივყევით. მართლაც, მოდი და მოსთხოვე ეხლა მენშევიკს, რომ მან ჩვენი გინებას თავი გაანებოს. განა ხუმრობა საქმეა? 20 წელიწადია გვაგინებდენ და ერთბაშად მისი დავიწყება თითქმის შეუძლებელიცაა:

მე კიდევ იმიტომაც გავჩერდი და ლანძღვა-გინება ავიტანე, რომ ვფიქრობდი: 12 ათასი მენშევიკის ხალხია შეკრებილი, ამათ რომ ჩვენი გინება არ დაეწყო ჩვენი პარტიისა—დამერწმუნეთ—ვინმე სერიოზულად იფიქრებდა—კრებაზე შემთხვევითი ხალხია მოყვანილი და არა მენშევიკებიო. მეც იმიტომ დავიჯერე მენშევიკური კონფერენციის ძლიერება, რომ კაი ხნის მოწყურებულმა მენშევიკების ლანძღვას, მხოლოდ ხსენებულ კონფერენციის დროს მომაგონდა მამალი მენშევიკური ლანძღვა-გინება ჩვენი პარტიის. ახლო სადმე ახლოს ჩვენი პარტიული ბიუროც რომ ყოფილიყო და მენშევიკების დელეგატებს ჩვენი ბიუროებიც დაელეწა, მაშინ კიდევ უფრო მეტად დავიჯერებდი, რომ კონფერეციაზე მოსული იყვნენ არა მარტო მამალი მენშევიკები, არამედ თვით გვარდშტაბისტები, ასეთ საქმეებში დახელოვნებულები.

დიახ, ამიტომ გავჩერდით. თორემ სალანძღავი და ერთმანეთის გასაკიცხი რა გვაქვს! სახელმწიფო ოპერის თეატრში საბჭოთა ხელისუფლების დროს 1921 წელს, მენშევიკებისავე კრებაზედ ერთი ბელადთაგანი ყვიროდა საქვეყნოდ: ყველას ყველაფერი ეპატიება, მაგრამ თედო ღლონტს არ ვაპატიებთ, ამ მოღალატის ხორცს ძაღლებს წაუგდებთო! ეხლა კი იგივე ბელადი მენშევიკი იმავე ღირსების თეატრში გადმოდგა და გვეუბნება: ხალხნო და ჯამაათნო, მისმინეთ, გაიგონეთ, დადექით საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ, გაუთარჯოს კომპარტიასო, ჩვენ შევცდით, ჩვენ მოღალატეები ვართო. დიახ, ამის შემდეგ სადავო რაღა უნდა გვქონოდა?!

რასაკვირველია, ბავშვობა იყო ჩვენი გინება იმ შემთხვევაშიაც, რომ ჩვენ მართლა საგინებელი ვყოფილიყავით. კარგები ვართ თუ ცუდები,—ჩვენ შეგნებულად გვიმუშავნია კომუნისტებთან და თუნდაც ამიტომ არ არის საჭირო, რომ შრომის ამხანაგი ლანძღო. ჩვენი გინება არსებულ წყობილებისათვის სამსახური ოდნავაც არ არის. სამწუხაროა, რომ ეს ელემენტარული პოლიტიკური აზრი ყოფილ მენშევიკებსაც ვერ შეუთვისებიათ.

დაუბრუნდეთ ეხლა თვით საკითხს. ფარნიევ-მახარაძის და ი. ბ.—ის გამოლაშქრებაში სულ ორი საკითხია, ორივე საინტერესო და საგულისხმიერო: 1. ისტორიულ-კულტურული და 2. პოლიტიკური, სადღეისო.

ისტორიულ-კულტურული ეხება ჩვენი ცხოვრების მახლობელ წარსულს, პოლიტიკურ პარტიების მოქმედებას, მის ისტორიას. ამის შესახებ ამხ. ფ. მახარაძე და ი. ბ. ამბობენ: „საქართველოში თებერვლის რევოლიუციამდე ორი ბანაკი არსებობდა: ბანაკი რევოლიუციონური, სოციალისტური და ბანაკი კონტრ-რევოლიუციონური, ბურჟუაზიულ-ფეოდალური“. ავტორი სოც.-ფედ. პარტიას აქცევს კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში.

როცა ჩვენ პირდაპირ საშინაო პარტიული საკითხები გვქონდა დასმული პარტიაში, იქ აშკარად სწარმოებდა ბრძოლაც, კრიტიკაც და სათანადო სოციალური კატეგორიებიც გვქონდა სხვა და სხვა ჯგუფის მოსათავსებლად. მაგრამ მესამე ელემენტის პოლემიკის გამო არა ეთიურია ადგე და ლანძღო ადამიანები, რომელნიც პოლიტიკურად თითქმის მოკვდნენ და რომელთა შესახებ ჩვენვე სასტიკ წერილებს ვწერდით საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ეს საჭირო იყო და აზრი ქონდა.

რასაკვირველია, შეგვიძლია ესავე საკითხი განვიხილოთ მეცნიერულად, მაგრამ ი. ბ. საკითხს, რომ სერიოზულად აყენებდეს ის წერილს სრულიადაც არ დაბეჭდავდა და თუ დაბეჭდავდა მეტის ყურადღებით მოეკიდებოდა საგანს, თორემ ჩვენი მდიდარი პოლიტიკური წარსულის ასე გამარტივება, როგორც ამას ი. ბ. სჩადის—ვის გაუგონია. ფრანც მერინგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ისტორიის დაწერის დროს უბრალო ჯგუფების მოვლინებასაც იკვლევს და სათანადო ადგილს უთმობს, ხოლო ასე ერთბაშად თეთრი ხაზის გასმა და ისტორიის შუაზე გაპობა სად გაგონილა?! მართალია, მარქსი ამბობდა, კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა, მაგრამ თვითონ მარქსს თვით „კომუნისტურ მანიფესტშიაც“ არ გაუმარტივებია საკითხი ისე, როგორც ამას მეოცე საუკუნეში სჩადის ამხ. ი. ბ.

სოც.-ფედ. პარტია დაიბადა 1903 წელში. „სახალხო საქმემდე“ პარტიული წმინდა ორგანო პარტიისა იყო პარიზის „საქართველო“. ამ დროს ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზე მოქმედებდნენ დასელები და „ივერიელნი“. ჩვენ არ ვილაპარაკებთ ჯერ-ჯერობით დასელების შესახებ. „ივერია“ კი იყო ილია ჭავჭავაძის გაზეთი, რომელიც ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს ქადაგებდა.

ვიდრე ამ ჯგუფების დახასიათებას შეუდგებოდეთ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ პარტიათა ცხოვრებაზე. თანამედროვე პარტიული ცხოვრება ძირ-ფესვიანად განირჩევა მე-19 საუკუნის მიწურულის და 15—20 წლის წინა ხანების პარტიულ ცხოვრებიდან. დღეს პარტია თითქმის სახელმწიფოებრივი ძალაა, სასტიკი კადასტრით, კლასიფიკაციით დისციპლინით, შერჩევით. 20 წლის წინად არსებული პარტიები უფრო ჯოგს გვანდნენ, სადაც მეტად ჭრელი ხალხი იკრებდა თავს. ვეშაპელი-კაჩუხოვის პროცესზე, რომელიც რამდენადმე იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროცესი, სავსებით გამოირკვა, რომ ორი მესამედი მენშევიკურ პარტიის წევრებისა ბურჟუაზიული ელემენტებისგან შესდგებოდა, რომლიდანაც განსვენებული სილ. ჯიბლაძე, როგორც პარტიის ხაზინადარი საკმაოდ ილებდა პარტიისათვის ქონებრივ საშუალებებს. ფედერალისტთა პარტიაც ძალიან ჭრელი მასისაგან შესდგებოდა და ჩვენ სრულებით არ ვმალავთ ამ გარემოებას. ეს გარემოება უეჭველად ახდენდა პარტიაზე გავლენას და პარტიაში არევ-დარევა შექმნდა. ძველი პარტიები კი არა, თვით კომუნისტური პარტია ძლივ-ძლივობით იხსნის თავს ყალბი ელემენტებიდან და სასტიკი ფილტრაციის გამო კომპარტია პარტიის 30 პროც. ერეკება თავის წრიდან. ეს გამორეკილი ხალხი სულ ყალბი ელემენტებია.

თუ ჩვენ პარტიის წარსულს არ გავზომავთ ჭრელი მასის მიხედვით, არამედ განვიხილავთ მას მეთაურთა, ესე იგი იდეოლოგიურ მიმდინარეობის

სამეცნიერო ექსპედიცია მუინვართ წვერზე

ოთხშაბათს, 29 აგვისტოს. ავედით დევრაკის მყინვარზე. გავჩერდით იმ ადგილას, სადაც არის ყაზარმების ნანგრევები. წინათ აქ ყოფილა სპილენძის მადნის კანტორა. აქ ახლო არის მადანი, რომელსაც 1917 წლამდე გერმანელები ამუშავებდენ. 200 მუშა მუშაობდა. ამ ადგილს ჩვენ [illegible] უწოდეთ პროფ. დიდებულიძის კარვები. [illegible] აქ პირველად გაიმალა ხუთი კარავი პროფ. დიდებულიძის თანწყობის. ამ ადგილის სიმაღლე უდრის 2425 მეტრს, ტემპერატურა ექვსი გრადუსს, მხოლოდ ჰაერწნევა 575 მილიმეტრს. იმავე დღეს და მეორე დღეს 30 აგვისტოს სწარმოებდა ყოველგვარი დაკვირვება გამოკვლევები. სამეცნიერო ექსპედიციის ნაწილი ავიდა ერმოლოვის ქოხზე, რომელსაც სახელად ეწოდა „შევარდნების ბუდე“ და სადაც უკვე წინადლით დათოვა. ირგვლივ მთებიც ქისტების მხრივ დაითოვა.

ჩამოვიდნენ მოვარჯიშენი ნხნედ და მარდათ. ექსპედიციის წევრებიც კარგად ასულან, მივიღეთ ცნობა დაბრუნებულ მოხევეების საშუალებით, რომელთაც ბარგი აზიდეს. 30 აგვისტოს მთელი დღე [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭოს დადგენილებისა 8 ენკენისთვიდგან გამოშვებულია საქონლის მანეთის კურსი. საქონლის მანეთი ღირს 8 მილ. 661,000 მან.

— **სოციალურ უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობის გასაცნობლად.** პროვინციაში ამ მოკლე ხანში გაემგზავრება განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოყოფილი იქნება სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისაგან.

— **უმუშევართა გაგზავნა სამშობლოში.** შრომის ბირჟის მიერ გროზნაში სამუშავოთ 105 უმუშევარი გაგზავნილი იქნა თავიანთ სამშობლოში. გაგზავნილებს მიეცათ დახმარება.

ქალაქის ქუჩების და ზოგიერთ დაწესებულების სახელწოდებათა შეცვლა. ქალაქის აღმასკომის სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოჰყო ცალკე კომისია, რომელთაც მონდობილ აქვს ქალაქის ქუჩებისა და ზოგიერთ დაწესებულებების სახელწოდებათა გადაქართულება.

— **ქართული ოპერები.** წრეულს სახელმწიფო საოპერო თეატრში დაიდგმება შემდეგი ქართული ოპერები: „თამარ ცბიერი“ „აბესალომ და ეთერი.

— **ტფილისის ელექტრონულ სადგურისათვის** ქალ. აღმ—მა შუამდგომლობით მიმართა ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატს, რომ მან აღძრას საკითხი შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ტფილისის ელექტრონულ სადგურასათვის გამოწერილი იქნეს 550 ცხენის ძალის მატორი „პოლიარ დიზელი“.

— **შტატების შემცირება.** რკინის გზის პროფ. კავშირმა დაადგინა მთელ ხაზზე, საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით შემოკლებული იქნეს თანამშრომლების შტატი მინიმუმამდე.

— **გადასახადი წყალზე და ელექტრონზე.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა წყალზე და ელექტრონზე გადასახადის გაწერვა მოხდეს საქონლის მანეთის კურსის მიხედვით.

— **ტყის ექსპლოატაცია.** ა. კ. რკინის გზის სამმართველომ შეიმუშავა ხელშეკრულების პროექტი მიწათა-მოქმედების კომისარიატთან ხელშეკრულების დასადებათ საგარაკო ტყების საექსპლოატაციოთ.

— **გლეხთა კომიტეტი.** აჭარისტანის სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თაოსნობით აჭარაში არსდება გლეხთა კომიტეტები.

— **შრომის ბირჟა. 8** სექტენბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—455 უმუშევარი ახლად ჩაეწერა 34 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 32 უმუშევარი.

— **ბზის დამზადება.** დადებული იქნა ხელშეკრულება, რომლითაც გორისა და გომის კოოპერატივთა კავშირმა 120,000 ფ. ბზე უნდა დაამზადოს სახალხო სასურსათო კომისარიატისთვის.

— **მუშათა სახლები.** კომუნალურ მუშათა კავშირის ხელში გადავიდა 6 სახლი, ერთი სახლი მიეცა წყალსადენის მუშა-მოსამსახურეებს, მეორე სახლი აბანოების მოსამსახურეებს. დანარჩენი 4 სახლი დარჩენილია კომუნალურ მუშათა კავშირის განკარგულებაში.

— **ჯარიდგან განთავისუფლებულ უმუშევართა წმენდა.** 7 ენკენისთვეს მოხდა ჯარიდგან განთავისუფლებულ უმუშევართა წმენდა. 51 უმუშევარიდგან შორომის ბირჟაში ჩაირიცხა 26 კაცი.

— **ზიზარ. უმუშევართა ჯანმრთელობა.** უზრუნველყოფის მიზნით შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა მიღოს ზომები რომ მავნე დაწესებულებებში მომუშავე მოზარდი გადაყვანილ იქნენ მსუბუქ სამუშაოზედ.

— **საულუფო ფქვილი.** სახ. სასურსითო კომსარიატმა წინადადება მისცა თავის საფინანსო-საანგარიშო განყოფილების გამგეს გეგმითი მომარაგების სახელმწიფო ხარჯზე მყოფ დაწესებულებებზე გაცემულ ფქვილის ღირებულების აკრეფის საქმე მოაგვაროს ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

— **ტუსაღის გაქცევა.** მე-10-ე სამილიციო რაიონში სამართველოს სატუსაღოდგან 6 ენკენისთვეს გაიქცა ტუსაღი შალვა გოცირიძე, რომელსაც ბრალი ედებოდა რკინის-გზის კოოპერატივის გაქურდვა.

— **ვალიუტის კურსი.**

10 სექტემბერი.

ჩერვონეცი	45,000,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	43,600,000 „
ჩეკი.	42,500,000 „
დოლარი ეფექ.	9,600,000 „
ჩეკი.	8,900,000 „
ოსმალური ლირა	6,100,000 „
საბჭოთა ფული	21,000 „

პარტიაში

განცხადება: ტფილისის კომიტეტი იწვევს ამხანაგებს: პლატონ ბაქრაძეს, შალვა ფირცხალავას, შალვა დოლიძეს, არჩილ ჭელიძეს, ივანე წერეთელს, ალექსანდრე კამკამიძეს და ავთანდილ ჩილიკაძეს, რათა გამოცხადდენ კომიტეტში დღეს (11 სექტემბერს) საღამოს 7 საათზე.

კო—ის მდივანი: **მ. სეფერთელაძე.**

ოთხშაბათს, ამა ენკენისთვის 12, საღამოს სრულ 7 საათზე პარტ. ცენტრ. ბიუროში დანიშნულია **მე-4 რაიკომის მორიგი სხდომა.**

განსახილველია ფრიად სასწრაფო და საჭირო საკითხები.

ვსთხოვ მე-4 რაიკომის წევრებს გამოცხადდენ სხდომაზე აუცილებლივ აღნიშნულ დროზე.

მე-4 რაიკომის მდივანი **აკ. სირაძე.**

მუშათა ცხოვრება

დავეხმაროთ იაპონელ მშრომელ ხალხს.

შრომის ბირჟას შეუძლია კიდევ მოაწყოს რაიმე კვირეული, იაპონიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მშრომელთა სასარგებლოთ. ეს შეადგენს აქაურ მშრომელთა მოვალეობას. საქმე მოითხოვს დაჩქარებითი ყურადღებას ვისგანაც ჯერ არის. საბჭოთა ხელის უფლებას აქვს ახლა მიზეზი, რომლითაც გაკეთდება ორი საქმე. ერთი გაკეთდება ის, რომ მშრომელთ დავეხმარებით იაპონიაში. მეორე: დავუახლოვდებით იაპონიის მშრომელ ხალხს. და დარწმუნებული ვარ სათანადო დაწესებულება მიიღებს შესაფერ ზომებს ამ საქმის მოსაგვარებლად.

ი. კაციტაძე.

გოლესტანი საადის ნათქოვი

ანოვშირავანე ადელი წავიდა ნადირობაზე. ანოვშირავანი ისეთი კაცი ყოფილა, რო დოვრქომთ იმისთი (დაურქმევიათ იმისათვის) ადელი. ადელი ნიშნავს ისეთი კაც, რო მის დელემჩი არც ტყუვილს იტყვის და არც ხალხის საქონელზეგ თვალი უჭირავ.

რამოდენი კაცი თანა ჰყოლია და ნადირიც მოვკლავთ, ოვნთიათ (დაუნთიათ) ცეცხლი, რომ წვადი შეწვონ და მარილი არა ჰქონიათ თან. ერთი ბატარა სოფელი ახლოვებით ყოფილა. ერთ კაცსათინ უთქვომ: წადი ფული მიეც და იყიდე მარილი და მაიტანე რომ სოფელი არ გასწორდესვო. (ე. ი. არ დაიქცესო, თუ უფულოდ მოიტანეო).

უთხრეს ერთ პეშვი მარილით გასწორდება (დაიქცევა) ერთ სოფელივო.

ანოვშირავანმა უთხრა, რომ [illegible] დაიწყეს ქვეყანაზე [illegible] ყოფილა; ვინაცლარო მოსულა, ცოცოტანედ მოვმატნია დღავანდლამდი, რო ეხლა სოფლები სწორდება.

როდისაც მაღლემა (მდიდარმა) ერთი ვაშლი გლეხის ბაღისაგან მოგლიჯა, თავის მოჯამაგირები ბაღის ხეებსაც ამაიღებენ ძირიდან.

როდისაც სულთანმა გაიქჩერა (განკარგულება გასცა), ერთ კერცხი გლეხს გემერთოს უფასოდ, თავის კაცები ათ ასობით ქათამს შამაცმევენ შანფურზე. ეგრენ ყოფილა.

სეიფოლა იოსელიანი ფერეიდანელი.

ჩვენი სკოლა

შრომის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების დახურვა

(წერილი ქუთაისიდან)

შაბათს, 2 სექტემბერს, დამთავრდა აქაური კურსებზე მუშაობა, რომელიც გაგრძელდა თვე ნახევარს; კურსები მოისმინა 400-მა მსმენელმა, რომელთა შორის 100 გამოწვეულნი იყო, მათ რიცხვში მეტი ნაწილი 2—3 წლის ნამსახური.

კურსებზე მუშაობა მიდიოდა, როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად; აძლევდენ მსმენელები გამოცდილი მასწავლებლებს ხელმძღვანელობით სანიმუშო გაკვეთილები, რომლებიც ირჩეოდა და ფასდებოდა საჯაროდ იმავე დღესვე.

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ კურსებმა დასტოვა კარგი შთაბეჭდილება, მსმენელები გაეცვნენ შრომის სკოლის ახალ პრინციპებს და თუ ჯერ ჯერობით საკმაოდ ვერ დახელოვდნენ, შეისწავლეს, როგორ უნდა აწარმოვონ განახლებულ სკოლებში მუშაობა და რას უნდა მიაქციონ მეტი ყურადღება.

კვირას, 3 სექტემბერს, პირველი შრომის სკოლის დარბაზში გაიმართა ზეიმი; სიტყვები წარმოსთქვეს განათლების განყოფილებით გამგემ პოლიკარპე ბახტაძემ, კურსების ხელმძღვანელმა ივ. გაჩეჩილაძემ ლექტორმა ტრ. ჯაფარიძემ და ერთმა მსმენელთაგანმა, ვ. ქუთათელაძემ. ხაშუადღევის 2 საათზე მსმენელებს და ლექტორებს განათლების განყოფილებამ გაუმართა სადილი, რომელზედაც გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს ტრ. ჯაფარიძემ, ლადო ნაცვლიშვილმა, ბ. ლეჟავამ, კ. მიქაძემ და სხვ...

სადილმა მხიარულად ჩაიარა, დამთავრდა საღ. 7 საათზე.

ლადო ბზვანელი.

ეროვნების მოქმედებანი — და ტანჯარბულებანი —

სახალხო მეურნეობა და ავიაცია. დღეს, როდესაც მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში გაძლიერებული კამპანია სწარმოებს საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ, და ჩვენშიც ფეხს იდგამს ავიაცია, აუცილებლად საჭირო არის იმ მნიშვნელობის გარკვევა, რომელიც ავიაციას აქვს სახალხო მეურნეობასა და საერთოდ ეკონომიურ ცხოვრებაში.

დღემდე ავიაციას მრავალი უყურებს როგორც სპორტს ან სამხედრო მოქმედების საშვალებას; მაგრამ განვლილი ომის შემდეგ მფრინავი აპარატები უმთავრესად მშვიდობიან, კულტურულ მიზნებისათვის გამოსაყენებლად იქნა მიმართული. ავიაცია მალე სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად უნდა გადაიქცეს.

საჰაერო გზები უკვე მეტოქეობას უწევს რკინის გზებსა და წყლის ტრანსპორტს. ამ უკანასკნელებთან მას მეტად დიდი უპირატესობა აქვს, რომელიც მის სისწრაფეში გამოიხატება.

თუ რამდენად წინ უსწრებს ავიაცია ამ მხრივ ტრანსპორტის სხვა საშვალებას, ეს შემდეგი ციფრებიდან სჩანს, რომელიც სხვადასხვა მიმოსვლის საშვალებათა საშუალო სისწრაფეს გამოხატავს (კილომეტრებში).

ხმელეთის გზები

მატარებელი-ექსპრესი—70
სამგზავრო მატარებელი—40
საბარგო მატარებელი—25
მატორი—35

საზღვაო

საფოსტო გემი—30
სამგზავრო გემი—20
საბარგო გემი—15

მიხედვით, მთელ რიგ შეცდომების, სიყალბენის და ოპორტუნიზმის მიუხედავად ძველი პარტიის ისტორიას გავყოფთ ორ მომენტად. პირველი პერიოდია ბოლშევიკური გადატრიალებამდე არსებული ხანა, მეორეა—გადატრიალების შემდეგი ხანა. პირველი ხანა კვლევა-ძიებების, „სუმბურის“, ინტელიგენტურ აღტაცების ხანაა, მეორე—გაკვეთილ,ჭრამოყალიბებული მოქმედების, სადაც ერთი ფრთა რეაქციისაკენ გადაიხარა, მეორე—რევოლიუციისაკენ.

ჩვენ ვიქნებოდით ისტორიის ფალსიფიკატორები, რომ პირალებით გვეთქვა: ფედერალისტთა პარტია მხოლოდ რეაქციონური პარტიაა. არა, ეს არაა მართალი. პარტიის ხელმძღვანელების მთელი რიგი გამოსვლები აშკარა რევოლიუციონური იყო და ამის დამალვა არაა საჭირო. ეს არავისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს.

1905 წელში ჩათრეული არჩილ ჯორჯაძე „საქართველოში“ სწერდა: „რევოლიუციამ წამოაყენა დიდებული კითხვა სოციალური განახლებისა და ვენმა თაობამ უნდა გადასწყვიტოს იგი იარაღით და თავგანწირული ბრძოლით თავისუფლების და ერთობის მოსაპოებლად“.

აქ ნახსენები **იარაღი, ბრძოლა, თავისუფლება, ერთობა** კიდევ არ ააშკარავებს არჩილის ფიზიონომიას. იმავე წელში, იქვე არჩილი სწერდა: „რევოლიუცია გამარჯვებული იქნება მაშინ, როდესაც იწყა და **ყოველგვარი საწარმოო იარაღი მშრომელთა ხელში გადავა, როდესაც საზოგადო ეკონომიურ ნიადაგზე საზოგადოებრივი შრომა დამყარდება**“.

როგორც ვხედავთ აქ უკვე ბრძოლას, თავისუფლებას, ერთობას სარჩული აქვს მიცემული და სარჩული სავსებით სოციალისტურია.

კიდევ მეტი, არჩილი ამ სოციალურ ნიადაგს ანარქიზმზე ამყარებდა და ოპტიმისტურად განწყობილი ჩვენს მოღვაწეებს ეუბნებოდა: „ქართველი ხალხი **ბურჟუაზიულ წეს-წყობილებასაც თავს აიღწევს** და **სოციალურ კომუნიზმის ნიადაგზე** ადამიანობას **უკიდურეს წერტილამდე აამაღლებს**“.

„მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალური რევოლიუციისა და ამიტომაც ვართ მისი მხურვალე დამცველნი“—ო—ამბობდა არჩილი.

არჩილი გამოვიდა ასპარეზე, როგორც სოციალისტი და სოციალისტურ აზროვნებას ამაგრებდა. ის თავიდანვე გახშორდა ბურჟუაზიულ რევოლიუციების იდეოლოგიას და საფრანგეთის რევოლიუციის ლოზუნგები აღიარა დრომოჭმულ ლოზუნგებად. „ლიბერალიზმის შინაარს შეადგენდა—ამბობდა არჩილი—სამი მცნება: თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება საშუალო საუკუნეებზე. მაგრამ დროთა მსვლელობაში ცხოვრებამ აღმოაჩინა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის სუსტი მხარე და ნაკლულოვანებანი... საჭირო იყო სოციალური კითხვის წამოყენება, ასე რომ ამ ჟამად პროგრესიულ მოძღვრებაც ლიბერალიზმი კი არ ითვლება, არამედ ის პრობლემა, რომელიც ცდილობს სოციალურ თანასწორობის დაფუძნებას“. (ტ. IV, გვ. 176). აი ამ სოციალისტურ შემეცნების თვალსაზრისით მიუდგა არჩილი „ევერიელთა“ სახეობას. „ახალი „ევერია“-ამბობს არჩილი-იმით განსხვავდება ძველი „ევერიისაგან“, რომ ეხლა მეტის გაბედულობით და კადნიერებით ესარჩლება ძველი წყობილებას“. ამ გვარად არჩილმა, როგორც ძველი „ევერიელნი“, ისე ახალნი რეაქციონურ კატეგორიად მონათლა. „ევერიამ“-სწერს იგი-თავი უნდა მოუყაროს ჩვენებურ რეაქციონერებს და წარსულის მოტრფიალეთ. ეს გვამხნევებს ჩვენ, რადგან გრძოლა გაადვილებულია, როდესაც მოპირდაპირე ბუჩქებს არ ეფარება და გულახდილად გამოდის თქვენს წინააღმდეგ“.

ჩვენ არც დრო გვაქვს და მგონია არც საჭიროა კიდევ მეტის დაწვრილებით შევეხოთ არჩილის აზრებს. ყოვლად შეუძლებელია არჩილის მოქცევა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. მთელ რიგ საკითხებში არჩილი უფრო ახლო იდგა რევოლიუციონურ მარქსიზმთან, ვიდრე რომელიმე მენშევიკი თავისი დროისა.

ი. ბ-ი გვეკითხება: „დაგვისახელონ ერთი წერილი, ერთი კრება მაინც, 1921 წ. 25 თებერვლამდე, სადაც ისინი მოითხოვდნენ პროლეტარიატის დიქტატურას?“ ვიდრე ჩვენ სავსებით დავაკმაყოფილებდეთ ამხ. ი. ბ-ს აღვნუსხავთ, რომ დემოკრატიზმის გზას, რაიცა პროლეტარიატის დიქტატურის ანტითეზისია ჯერ 15—18 წლის წინად უარყოფდა არჩილი, რაიც არც ერთ მენშევიკს წარმოდგენაშიაც არ ქონდა დასახული. „ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმ შეხედულობის-ამბობდა არჩილი-რომელსაც სოციალ-დემოკრატების ერთი დიდი ფრაქცია ავრცელებს, თითქოს სოციალისტურ და დემოკრატიულ წეს-წყობილებათა შორის ძირითადი თვისებითი განსხვავება კი არ არის; არამედ ოდნაობითი; ვითომ დემოკრატიული რეჟიმი ევოლიუციის კანონის ძალით ნელ-ნელა უახლოვდება სოციალიზმს. ეს შეხედულობა ცრუ შეხედულობად მიგვაჩნია. ამიტომ ვამბობთ, **სოციალიზმის განხორციელების გზა-რევოლიუციაა**“. აქ აშკარადაა კითხვა დასმული დემოკრატიზმის სისტემის წინააღმდეგ, რაიცა არჩილის დროს განსაკუთრებით დაუფასებელია. კიდევ მეტი, არჩილის მთელი შეხედულობა სახელმწიფოზე სავსებით ეწინააღმდეგებოდა მენშევიკების შეხედულებას და უახლოვდებოდა თანამედროვე ლენინიზმს. „ჩვენის აზრით—ამბობს არჩილი—**სოციალიზმის განხორციელება კანონმდებლობის საშუალებით უქმი გარჯაა. და აი აქ იმალება უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს შორის**“. კიდევ უფრო მარტივად: „**აშკარაა ისიც, რომ სოციალიზმის განხორციელება ხახელმწიფოს საშუალებით საცოდავი უტოპიაა, თვით სოციალიზმის გარყვნა და დამახინჯებაა**“. ამხ. ი. ბ.—ი თუ იცნობს ლენინის აზრს დემოკრატიზმსა და სახელმწიფოზე იგი აქ დაინახავს საოცარ ნათესაობას. არჩილი სოციალიზმის საკითხს დემოკრატიულ კონსტიტუციას კი არ ამყარებდა, არამედ პირდაპირ რევოლიუციას. „ჩვენის აზრით, სოციალური რევოლიუცია ზევიდან კი არ დაიწყება, არამედ პირდაცირ რევოლიუციას. „ჩვენის აზრით, სოციალური რევოლიუცია ზევიდან კი არ დაიწყება, არამედ ქვეიდან. იგი იქნება პირისპირი შეტაკება შრომასა და კაპიტალისა“. კიდევ: „**პროლეტარიატის განთავისუფლება უნდა მოხდეს მიხვევ ძალღონით და კლასიურ ნიადაგზე გამართულ ბრძოლების საშუალებით. ჩვენ დემოკრატიულ რეჟიმის საშუალებით სოციალიზმს ვერ განვახორციელებთ**“.

ასეთი იყო არჩილის სოციალური მოძღვრება. მაგრამ ამ მოძღვრებას მისთვის შორეულ მომავლის მნიშვნელობა კი არ ქონდა, არამედ სადღეისო. „სოციალისტური პარტია უნდა ემზადებოდეს—სწერდა არჩილი 1905 წლისთვის—თავის მისიის ასრულებისათვის გამუდმებულ ბრძოლის საშუალებებით. ბრძოლა უნდა იყოს მიმართული კერძო საკუთრების მეფობის წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს საწარმოო ყველა იარაღთა სოციალიზაციის აუცილებლობა. ამ საქმისათვის პარტია უნდა ემზადებოდეს **დღესვე**“.

თეორიით, მოძღვრებით არჩილის მთელი მსოფლმხედველობა გაცილებით თამამედროვე და რევოლიუციონური იყო, ვიდრე მენშევიკების. არ არის მართალი ამხ. ფ. მახარაძე, რომელიც ასე ერთი სიტყვის წარმოთქმით კონტრ-რევოლიუციონერად სთვლის მეტად საყურადღებო ადამიანის მიმართულებას.

ვიდრე ამ მიმართულების პრაქტიკაზე გადავიდოდეთ საჭიროა სხარტი წარმოდგენა ვიქონიოთ ეროვნულ საკითზედაც, რომ ამ დარგშიაც შევადაროთ იგი სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებას. ჩვენ გვმართებს აქაც დავანახოთ ამხ. ი. ბ.—ს თუ რომელი მიმდინარეობა უფრო გამოხატავდა თანამედროვე ეპოქას, რომელი უახლოვდებოდა ლენინის სკოლას და ამგვარად რევოლიუციის მიზნებს ვინ უმჯობესად ემსახურებოდა.

შემდეგ გადაუშლით ამხ. ი. ბ.—ს პარტიის მემარცხენე ფრთის იდეოლოგიას და „გულში ვის რა ქონდა“-ს მაგიერ დავანახებთ თეორ ქაღალდზე შავი ასოებით რა იბეჭდებოდა, რა პრაქტიკულ გამოსვლებს ადგილი ქონდა არა 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, არამედ ბოლშევიკების მეტად მძიმე პერიოდში.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიაც ჩვენ არ დავიზარებთ მენშევიკების აზრების გამოქვეყნებასაც, რათა პირუთვნელმა ისტორიამ განსაჯოს ვინ საით მიიკვლევდა გზას და რას ემსახურებოდა.

თედო ღლონტი.

საჰაერო
საფოსტო და სამგზავრო აპარატი—160
საბარგო აპარატი 125.

ეს ცნობები ნათლად გვიჩვენებენ ეკონომიას სისწრაფეში, რომელიც წარმოუდგენელ რეკორდს ქმნის ავიაციისთვის. თუ რამდენად მოკლდება გზა საჰაერო მიმოსვლით და ხდება დროის ეკონომია, ცხადად სჩანს შემდეგი ცნობებიდან გერმანიაში რეგულიარულ საჰაერო მიმოსვლის სისწრაფის შესახებ:

მანძილი	რკინის გზა	საჰაერო გზა	გადაფრენა	რკ. გზით მგზავრობა
	კილომეტრი		საათები	
ბერლინი-ლეიპციგი-მიუნხენი	341	315	3	6
ლეიპციგი-გამბურგი	382	290	2	8
ბრემენი-როტტერდამი	390	320	3½	8
მიუნხენი-კონსტანცი	260	190	2	7.

ინგლისმა საჰაერო ფლოტი უკვე სავაჭრო მიზნებისთვის გამოიყენა და ყოველწლიურად დიდძალი საქონელი შემოაქვს კონტინენტიდან და გაიქვს კიდეც ზისი საშვალებით. გადასაზიდი საქონელი უმთავრესად მსუბუქი ნივთებია მაღალი ღირებულებისა.

განსაკუთრებით ფართო გამოყენებას პოულობს ავიაცია შეერთებულ შტატებში; ეს იმიტომ რომ აქ ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხდება მით სარგებლობა დიდი სივრცის გამო და ეს კი ხელს უწყობს მის გამოყენებას სამეურნეო მიზნებისათვის. ამ მხრივ საბჭოთა რესპუბლიკებში უთუოდ სახეირო და შესაფერი პირობები არის ავიაციის ეკონომიური მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

საჰაერო ფლოტის სამეურნეო ორგანიზაცია შესაძლებელია იქნეს ოთხი ფორმის: სახელმწიფოს ხელში, კერძო მონოპოლია, კონცესიური და თავისუფალი.

ამ ჟამად საჰაერო ტრანსპორტის ორგანიზაცია თითქმის ყველა სახელმწიფოებში (ამერიკის გარდა) კერძო პირთა ხელში იმყოფება. ყველგან უმთავრესად კონცესიონურ სისტემისაკენ სწრაფვას აქვს ადგილი. სახელმწიფოს დაუხმარებლად კი ასეთი ორგანიზაციის არსებობა არსებულ პირობებში შეუძლებელი ხდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საერთაშორისო კონკურენციას აქვს ადგილი. სახელმწიფო განსაკუთრებული სუბსიდიებით ეხმარება კერძო საზოგადოებათაც, როგორც მაგ. ეს გერმანიასა, საფრანგეთსა, ჩეხო-სლოვაკიასა და იტალიაში ხდება.

თანამედროვე ბიუჯეტებში ხომ საჰაერო ფლოტს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; საფრანგეთის ბიუჯეტში მაგ., 1922 წელს საჰაერო ფლოტისათვის 155 მილ. ფრანკი იყო გადადებული.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, თუ რა ახალი ფაქტორი შეეძინა კაცობრიობას; მისი ასეთი თუ ისეთი გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ საით მიმართავენ მას: კულტურული მიზნებისა თუ ერთმანეთის განადგურებისკენ. ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენი ძალ-ღონე იქით უნდა მივმართოთ, რომ ეს მნიშვნელოვანი დარგი ეკონომიური ცხოვრებისა და საჭიროების დროს სამხედროსაც, იმდენად მაღალ დონეზე დავაყენოთ, რომ შესაძლებელი შეიქნეს მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან მეტოქეობის გაწევა და საკუთარი ინტერესების დაცვა.

გ.

ბრიჯინგიაში

დ. ჩოხატაური. აღმოსავლეთ გურიის ყველა თემებში უკვე დაარსდა გლეხთა საუთიერთო კომიტეტები.

— როგორც გადმოგვცემენ, ადგილობრივ ტეხნიკუმში მომავალი სამოსწავლო წლიდან დახურულია პირველი და მეოთხე კლასი.

— ჩოხატაურის რაიონში არსებობს თერთმეტი 8 წლ. შრომის სკოლა, საიდანაც კურს დამთავრებულები სწავლას განაგრძობდენ ჩოხატაურის ტეხნიკუმში, მაგრამ მომავალი სამოსწავლო წლიდან ახალი პროექტით, ტეხნიკუმში პირველი კლასი აღარ იქნება, რის სამაგიეროთ ემატება შრომის სკოლას მეცხრე წელი. მაგრამ საამისო განკარგულება ჯერ არ სჩანს და მოწაფეები მეტათ უხერხულ პირობებში იმყოფებიან, მათ არ იციან რა გზას დაადგენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოსაკლეთ გურიაში, სადაც ამოდენა რიცხვია შრომის სკოლებისა, საჭიროა ორი თუ არა, ერთი მაინც 9 წლ. შრომის სკოლა, რომელიც უნდა გაიხსნას რაიონის ცენტრში ჩოხატაურში. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ სამაზრო ხელისუფლება ანგარიშს გაუწევს შექმნილ მდგომარეობას და აღმოსავლეთ გურიის მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლის რიცხვი 200 აღემატება, არ დასტოვებს სკოლის გარეთ.

— სამოსწავლო წელი უკვე გვიახლოვდება, მაგრამ სათანადო მზადებას ვერ ვამჩნევთ. სკოლების შენობები შეკეთებას საჭიროებენ; არც სასკოლო ავეჯი არის სანუგეშო მდგომარეობაში. არ ვიცით: როდის დაიწყება საამისო მუშაობა.

— ჩოხატაურის რაიონის სამედიცინო პერსონალი მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება; სამი თვეა მათ ჯამაგირი არ მიუღიათ. ასევეთივე პირობებში იმყოფებიან თითქმის განათლების მუშაკთა კავშირის თანამშრომლებიც, ბევრ მათგანს ჯერაც არ მიუღიათ ივნისის და ივლისის დამატებები და აგვისტოს ხვედრი ჯამაგირი. ამის გამო ჩოხატაურის სარაიონო ადგილკომმა არა ერთხელ აღძრა სათანადო შუამდგომლობა, მაგრამ ის უშედეგოთ დარჩა. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება ვისგინაც ჯერ არს, რათა თანამშრომლებს ჯამაგირები ეძლეოდეთ ყოველთვიურათ.

— ჩოხატაურის სცენაზე სისტემატიურათ იმართება წარმოდგენები, მაგრამ დეკორაციების უქონლობა მეტათ ხელს უშლის პიესების ხეირიანათ გაშვებას. თეატრი სკოლაა, ის აღმზრდელია ხალხის და როგორც ასეთი, ჩვენ ვფიქრობთ, ის არ იქნება მიტოვებული ადგილობრივი საზოგადოებისაგან უყურადღებოთ. მით უმეტეს ადგილობრივ ინტელიგენციას მართებს მეტი უნარი და ფხა გამოიჩინოს თეატრის გამშვენიერებაში და სათანადო დონეზე დაყენებაში. ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ჩოხატაურის სცენამ უნდა შეიძინოს დეკლარაციები; ამისათვის დრამატიული წრის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში გამართოს საღამო—წარმოდგენით. ჩვენ დარწმუნებული ვართ აღნიშნული საღამო ჰპოებს გამოძახილს ფართო მასაში და ყველა მიიტანს თავ-თავიანთ წვლილს ამ წმინდა ტაძრის გასამშვენიერებლათ. მოქალაქენო, დაეხმარეთ თქვენ თეატრს, შეაკეთეთ ის და საშვალება მიეცით იქ მომუშავეთ მოგაწოდოთ შესაფერი სულიერი საზრდო!

— ამ დღეებში, სოფ. ფარცხმაში, ლ. ბერძნიშვილის ოჯახში მილიციამ მიაკვლია ყაჩაღი ჩხაიძე. მცირე შეტაკების შემდეგ მან გაქცევით უშველა თავს. როგორც გადმოგვცემენ, ის დაჭრილი უნდა იყოს. ამის გამო დატუსაღებულია იმ ოჯახის წევრები, სადაც ის ინახავდა თავს.

— კვირას, 2 სექტემბერს კომ-კავშირის თაოსნობით დ. ჩოხატაურში გაიმართა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავათ მიტინგი, სადაც შესაფერი სიტყვებით გამოვიდენ კ. უჯმაჯურიძე, გრ. ჟღენტი და ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა წევრი გიორგაძე. საღამოს ადგილობრივ სახალხო სახლში მოწყობილი იქმნა უფასო წარმოდგენა. საზოგადოება დიდი დაესწრო.

ამსაითელი.

პატარა ფელეტონი მაგვიერ

პროვინციის რამე-რუმე.

(სურათები)

სამტრედია.

ქვემო იმერეთის ცენტრი! საქართველოს რკინის გზების სანასკვო სადგური!..

მდიდარ მომავლის და განვითარების მქონე ქალაქი!..

ყველა მომავალს შეჰხარის.

ბუნების წესი ასეა!..

ჩვენ სამტრედიის „ოქროს მომავალზე არას ვამბობთ.

გთხოვთ მის აწმყოზე მოგვისმინოთ რამდენიმე წამით!..

მართლაც ამ „სანასკვო“ სადგურზე ერთმანეთს ხვდება საქართველოში მქროლავი ყველა მატარებლები!

სამტრედია მიიღებს და გააცილებს ჩრდილოელ რუსს, დასავლელ ევროპიელს და ახლო მეზობლებს...

მატარებლის ფანჯრიდან ზაფხულობით მოსჩანს ბალში ჩამჯდარი სამტრედია, გარსით თვალწარმტაცი და კეკლუცი!..

სადგურზე ნაირფერად ხალხია.

სამყაროს ყოველ ნაპირს ჰყავს აქ წარმომადგენელი!..

პენსნეებში ამპარტავნობით იღიმებიან ოქროს კბილიანი ევროპიელი კომვოიაჟორები...

„ოსვობოდიტე პერონ, ოსვობოდიტე პერონ“ გაჰკივის ჩახლეჩილი ხმით რკინის გზის მილიციელი!

„Nous sommes déja dans la Russie?—Oui mon ami“...

ეუბნებიან ერთმანეთს დასავლელი კომვოიაჟორები.

„ოსვობოდიტე პერონის“ გაგონებაზე გამოვდივართ სადგურის დარბაზიდან!.. ყურებში წივის: იმერულად გადალესილი ავლაბრული გინება...

ფეხშიშველა და სახე დამუწუკებული ებრაელი ბავშვების „ჩისტი ჩისტი“!

აგერ კულაშელი „მოშე“.

მომაკვდავი ცხენი გაუბამს დამტვრეულ ორ ბორბლიანში და ზედ 12 მგზავრს იჯენს...

—

ქ. სამტრედიის უმთავრესი ქუჩა... ალა-მაჰმადხანის დროის თალიანი მაღაზია დუქნები!

სამიკიტნოები... სამიკიტნოები და კიდევ სამიკიტნოები!

სამიკიტნოების წინ აღარ სდგანან წელში გამოჭირებულ ჩოხა-ხანჯლიანი „კნიაზები“...

ახლა მათ მაგივრად ჩაწკაპულან „გასაფრენ შარვლიანი ყმაწვილები“ და ყანწიც მათ უჭირავთ...

—

— ევროპიელი ჩაშვებული შარვალი, ფეხზე ლაქის ბოტინკი...

თავზე რუმინული ქუდი, ტანზე ჩოხა, ხელში ქოლგა.

ვინ არის ეს. ეს არის სამტრედიელი ვაჭარსოვდაგარი...

მელანქოლიური სახე.

„კულაშური“ პროფილი...

ხელების ელექტრო ნაექიმებივით თრთოლა...

ხელში გეოგრაფიის წიგნი და მისი საოჯახო ბიბლიოგრაფია!

აი, სამტრედიის ერთი ინტელიგენტი.

ტფილისური მხარ-ბეჭი ოქროს ფერი ღიმილი... ალგებრა ამოდებული და თამადათ ქებული აი, მეორე წარმომადგენელი სამტრედიისა.

სილოვანის მოწაფე მარად ფიქრად წასული, ქართულს ამბობს დაშაქრულს ხშირად ურევს „ალბად გავს“...

ესეც მესამე...

უწაღო და უწინდო ფეხით დადის 10 ვერსზე, პედაგოგი ბრძანდება.

აწ ინებეთ მეოთხე...

(დანარჩენებს გავიცნობ და გაგაცნობთ).

ევროპიელი.

ხელოვნება

სიმფონიური მუსიკის ორი საღამო მოქ. ბრონისა და ნეიმანის ხელმძღვანელობით

აგვისტოს 4-ს და 5-ს პროფესიონალურ კავშირთა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგა სიმფონიური კონცერტები. კონცერტების საზაფხულო სეზონი ამ დღეებში იხურება და არ შეიძლება ღირსეულად არ დაფასდეს მისწრაფება, რათა საზოგადოების ფართე წრეებს საშვალება მისცემოდათ ხეირიანი მუსიკის მოსმენისა. მართალია უკანასკნელ თვეში აკადემიური ორკესტრის მოღვაწეობა რამოდენიმეთ ასცდა მკაცრ პროგრამიან სერიოზულ სიმფონიურ კონცერტების ზას, მაგრამ მიუხედავად ამისა ორკესტრის მოღვაწეობა ბოლომდე მაინც საინტერესო, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გამოდგა.

კონცერტს დირიჟორობდა მოქ. ბრონი; პროგრამა ეკუთვნოდა რუსეთის და სკანდინავიის სიმფონიური მუსიკის კორიფეებს. ჩაიკოვსკის უვერტიურა—ფანტაზიამ და რიმეო და ჯულიეტამ მშვენიერი გაგება ჰპოვა მოქ ბრონის დირიჟორობით. Maestro ამ ფანტაზიის ყველა ეპიზოდებს მკვეთრად სახავს (შექსპირის დრამის გმირთა სასიყვარულო ეპოპეა და ორ იტალიურ პატრიციულ გვარის—მანტეგკის და კონულეტტის ბრძოლით გამოწვეული ტრაგედია რომეასა და იულის ცხოვრებაში). ლამაზად ისმის largo—პირველი ეპიზოდისა და დიდი ხალისი და ტემპერამენტია მეორეში.

პოეტური პოემა კალინნიკოვის „კედრი და პალმა“, ასევე კარგად და მუსიკალურად იქნა შესრულებული. რიმსკი—კორსაკოვის ოპერიდან „საქორწილო სვლაში“ ოქროს მამლის უფრო ფოლადისებურად შესრულება სასურველია. „Peer Suint“ (პეერ-გინტ) იბსენის დრამის იმავე შინაარსის სიუიტეტზე,—კარგად იქნა შესრულებული, განსაკუთრებით მეორე ნაწილი (აზას სიკვდილი),—თანდათან გაზრდილი ხმოვანობით (andante lamontoso) და ანიტრის სიცოცხლით აღსავსე ცეკვა. საბელიუსის ვალსი (Valse friste) შესრულებულ იქნა დიდი განცდით.

არ შემიძლია დავეთანხმო მოქ. ბრონის გრიგის საზეიმო მარშის გაგებას (Ligurd Iosalfar)—Nuldigunds march. ეს მარში საზეიმოა არა გამარჯვებისა და ზეიმის მარშია და მაშასადამე აქ აღებულ უნდა იქნეს [illegible] და გადიდებული იქნეს allegro-ში; დინამიკა თანდათან უნდა ვითარდებოდეს [illegible] ნელება ტემპისა (rifinuto) და ფეომატები აქ უადგილოა.

მეორე კონცერტს დირიჟორობდა მ—ქე ნეიმანი—ტფილის მუსიკალურ წრეებში ცნობილი, როგორც საუცხოო ფოგოტისტი. მოქ. ნეიმანი უკვე კარგა ხანია მოწვეულია მასწავლებლად ფაგოტის კლასში სახელმწიფო კონსერვატორიაში; როგორც კაპელმეისტერი მოქ. ნეიმანი ნაკლებადაა ცნობილი. მისი „საკაპელმეისტრო მოღვაწეობის დაფასება ჯერჯერობით მიძნელდება. მიუცადია მის გამოსვლას უფრო მკაცრ სიმფონიურ პროგრამებში; მაგრამ მოვალეობად ვრაცხ აღვნიშნო ახალგაზდა არტისტის მუსიკალობა, ტემპერამენტი და თავდაჭერილობა.

ნეიმანის ხელმძღვანელობით ორკესტრის მიერ შესრულებულ ნომრებიდან აღვნიშნავ მორნეს უვერტიურას—„ფედრა“ და „საათების ცეკვას“—(Danza della ore) პოიკიელის ოპერა „ჯიოკონდადან“.

პ. ბებუთოვი.

მოწაფეთა ლიტერატურულ-დრამატიული წრე.

ამ მოკლე ხანში ტფილისში დაარსდა ახალგაზრდა მოწაფეთა ლიტერატურულ-დრამატიული წრე. არჩ. გოგინაშვილის და მაისურაძის თაოსნობით, რომელიც მიზნათ ისახავს—ქართულ ლიტერატურის შესწავლას და დროგამოშვებით წარმოდგენების გამართვას თავისი ძალებით. პირველი ასეთი წარმოდგენა გაიმართა კვირას 2 სექტემბერს ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში, რომელსაც საკმაო საზოგადოება დაესწრო. წარმოდგენილი იქმნა 1 მოქმედებიანი დრამა „მაღაროს უფროსი მუშა“ და „სულელი“ მე-2 მოქმედება. დასასრულს დივერტისმენტი.

წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, ყველა ცალ-ცალკე ცდილობდა, რომ პირნათლად შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა, და შეძლებისადაგვარად ხელს უწყობდა მთლიანობას. ვუსურვებთ მეტს მხნეობას დაწყებულს საქმეში ახალგაზრდობას. ამასთანავე მეტად სასურველია, რომ მათ შეესწავლონ ძველი ქართული ენაც და ქართველ კლასიკებიც.

ჟან.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩემს განცხადებას: მე არც ერთ პარტიაში არ მიმეწერია, გასაბჭოების შემდეგ (1921 წ.) თვალყურს ვადევნებდი პოლიტიკურ პარტიების მუშაობას და დავრწმუნდი, რომ ერთად ერთი პარტია მუშათა, გლეხთა დაჩაგრულ ერთა დამცველი არის მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტია. ამიტომ მსურს გავხდე ხსენებული პარტიის წევრი.

ილიკო არტემის ძე-გვენცაძე

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „ტრიბუნის“ საშვალებით ძონძირ-ისულის კომიტეტის სახელით გამოუცხადოთ მადლობა ძონძირის კომპარტიას, რომელმაც დაგვიმაყოფილა კომიტეტის შუამდგომლობა ძონძირის პარტიულ უჯრედისათვის დაეთმო ადგილობრივი კლუბის დარბაზი კრებისათვის.

კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **აკ. ხუნწარია.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საალმშენებლო მუშაობათა სამართველოს

ესაჭიროება

უემდეგი მასალეგი

1) 2 სამტონიანი ასაწევი მანქანა („ლებედკი“) მექანიკური მუხრუჭით და კბილებით ღვედით ასაბრუნებლად.

2) 2 საჩაქავი („ნასოსი“)—თვითეულის მუშაობის ნაყოფიერება უნდა უდრიდეს 12 მეტრს საათში, 60 მეტრ. გეოდეზიურ სიმაღლეზე წყალის ასაყვანად. საქაჩავებს უნდა ჰქონდეთ მოწყობილება ელექტრო-მამოძრავებელის მუდმივი ნაკადის 440 ვოლტით ასამუშავებლად, მაგრამ შეიძლება აგრეთვე უშუალოთ ნავთის მატორთან შესაერთებელი საქაჩავიც.

3) მილები რკინის გაზისათვის „3“, „2 ნახ.“ და „2“ დიამეტრით, მოწყობილებით და ცეცხლის მქრობელა ონკანით („კრანი“).

4) შემდეგი მოწყობილება: წყლის გასაცხელებელი ქვაბი, დაახლოვებით 9 კვ. მეტრ. ზედაპირით, 4 რკინის აუზით—რომლის ჩამტეობა უნდა უდრიდეს 400,230,8 და 5 ვედროს; ონკანები, და მილები—„2“, „ნახ.“ და „სამი-მერვედი“ დიამეტრით, და წყალ-სადინარის სხვა მოწყობილებანი.

საჭირო მასალების ვრცელი სიის გაგება შეიძლება ყოველ დღე დილის 8 ს. დღის 2 საათამდე სამუშაოების სამართველოს მატერიალურ ნაწილში (ლადო დუმბაძის ქ. № 3).

განცხადებანი ყველა მასალების ან ნაწილის მიწოდების შესახებ ღირებულების ჩერვონცებში აღნიშვნით (ფრანკო-ტფილისი) და მიწოდების ვადის ჩვენებით მიიღება ა წ. 21 სექტემბერს საშუალების მატერიალურ ნაწილში.

სამუშაოების უფროსის თანაშემწე—**კიკნაძე.**

1—1.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 622 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.